დაცული იყოთ წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან: არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს წამების, სასტიკი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი, უკანონოდ დაკავებული ან თავისუფლებააღკვეთილი. თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს აქვს, მიიღოს სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარება და კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან, კანონის დარღვევის შემთხვევაში, ბავშვის დაპატიმრება ხდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ბავშვებო თუ ირღვევა თქვენი ან თქვენი თანატოლების უფლებები:

ნებისმიერი პირის მხრიდან ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში ყველა მოქალაქემ უნდა მიმართოს შესაბამის უწყებას. ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს და/ან მშობელს კი, ასევე უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

თქვენი უფლებების დასაცავად უნდა მიმართოთ:

მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს, რომელსაც წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ოფისი.

ცხელი ხაზი: 15 05

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას

ცხელი ხაზი: 112

საქართველოს სახალხო დამცველს:

032 2 234499

დარღვევა თქვენი ოჯახებში? მიმართეთ სახალხო დამცველს!

საქართველოს
სახალხო
დამცველი

ზუგდიდის ოფისი
კოსტავას ქ. №58

ტელ.: (+995 32) 2 23 44 99
(+995) 77 50 52 34
(+995) 99 47 38 31

www.ombudsman.ge

გამოიცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ
გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)
„ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური
ინტეგრაციის პროექტის“ ფარგლებში ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს
სახალხო
დამცველი

თბილისი
2013 წელი

ძვირფასო ბავშვებო,

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა იმ ბავშვების დაცვა, ვისი უფლებებიც დაირღვა ან ირღვევა.

ამიტომ, სასურველია, ყველა ბავშვმა იცოდეს თავისი უფლებების შესახებ და მათი დარღვევის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ორგანიზაციებს.

ვინ ითვლება ბავშვად?

საქართველოს კანონმდებლობისა და გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მიხედვით, ბავშვად ითვლება ადამიანი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი.

სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს ბავშვზე.

ბავშვებო, თქვენ გაქვთ უფლება:

სიცოცხლის: ბავშვებს აქვთ სიცოცხლის, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება.

განვითარების: ბავშვებს აქვთ განათლების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება.

დაცვის: ბავშვებს აქვთ უფლება, დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან.

მონაწილეობის: ბავშვებს აქვთ უფლება, გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შხედულებანი, მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

დაცული იყოთ დისკრიმინაციისგან: საქართველოს კანონმდებლობითა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

დაცული იყოს თქვენი სიცოცხლე: ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება. სახელმწიფო კი ზრუნავს ბავშვის განვითარებაზე.

გათვალისწინებული იყოს თქვენი აზრი: ბავშვს შეუძლია გამოთქვას აზრი ისეთ საკითხებზე, რომელიც მას ეხება. ბავშვს აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, თუ ეს არ აზიანებს მის ან სხვების ინტერესებს.

თქვენზე იზრუნონ მშობლებმა: მშობლები ზრუნავენ ბავშვზე. სახელმწიფო კი ხელს უწყობს მათ ბავშვის აღზრდაში.

დაცული იყოთ ძალადობისგან: სახელმწიფო იცავს ბავშვს მასზე მზრუნველი ნებისმიერი პირის მხრიდან ძალადობისა და უხეში მოქცევისგან და ქმნის ძალადობის აღკვეთის პროგრამებს.

თუ თქვენ ცხოვრობთ სამზრუნველო ან ბავშვთა აღზრდის დაწესებულებაში: სახელმწიფო ეხმარება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და უქმნის მათ ოჯახურ გარემოს.

თუ თქვენ შეზღუდული შესაძლებლობები გაქვთ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სარგებლობს თანასწორი უფლებებით. მას უფლება აქვს სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით, იღებდეს განსაკუთრებულ განათლებას რათა შეძლოს სრულფასოვნად და ღირსეულად ცხოვრება ისეთ პირობებში, რომელიც მაქსიმალურ დამოუკიდებლობას და სოციალური ინტეგრაციას.

მიიღოთ უმაღლესი ხარისხის ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება: ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით, სუფთა წყლით, ჰქონდეს სრულფასოვანი კვება და უსაფრთხო გარემო, რათა ჯანმრთელობა შეინარჩუნოს.

მიიღოთ განათლება: სახელმწიფო უზრუნველყოფს საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას.

თუ თქვენ წარმოადგენთ ეროვნულ უმცირესობას: სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს აქვთ უფლება, მშობლიურ ენაზე ილაპარაკონ და იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების შესაბამისად.

ისარგებლოთ თავისუფალი დროით და დასვენებით: ბავშვს აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ და გასართობ ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება.

დაცული იყოთ იძულებითი შრომისგან: ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისი ჯანმრთელობისთვის, ხელს უშლიდეს ბავშვს განათლების მიღებაში. სახელმწიფო განსაზღვრავს სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს და შრომით პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს.

საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს

მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: _____

გვარი: _____

მისამართი: ქალაქი (რაიონი): _____ ქუჩა: _____ № _____

ტელეფონი: _____ ელ-ფოსტა: _____

განცხადება

_____

_____

_____